საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კრესენშტაინი კრეს ფონ (Kressenstein) ფრიდრიხ ზიგმუნდ გეორგ ფრაიჰერ

კრესენშტაინი კრეს ფონ (Kressenstein) ფრიდრიხ ზიგმუნდ გეორგ ფრაიჰერ (24. IV. 1870, ნიურნბერგი, – 16. I. 1948, მიუნხენი), გერმანელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი. არტილერიის გენერალი (1928). I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სპეციალური სამხ. მისიით გაგზავნეს ოსმალეთში. იყო მე-8 თურქული არმიის სარდალი – ობერსლეიტენანტი. 1916–17 კ. ხელმძღვანელობდა თავდაცვით ბრძოლებს ინგლისელთა წინააღმდეგ სინაის ნ/კ-ზე, ღაზასთან და პალესტინაში. 1918 მაისში მას გენ.-მაიორის წოდება მიენიჭა. 1918–19 სათავეში ედგა გერმანიის იმპერიის დიპლ. და სამხ. მისიას კავკასიაში (რეზიდენცია – თბილისში). მან ხელი შეუწყო კავკასიაში გერმანული გავლენის გავრცელებას და საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის დაახლოებას გერმ. იმპერიასთან. ომის დამთავრების შემდეგ კ. დაბრუნდა გერმანიაში და განაგრძო ბავარიის სამხ. ძალებში სამსახური. 1924 მიიღო გენ.- ლეიტენენტის წოდება. საქართვ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველ შეხვედრაზე კ-მა განაცხადა: „კავკასიის უძველეს მიწაზე ჩვენ მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა“. ოპოზიციის შესახებ კი, რ-იც უცხო ძალის გამოყენებით არსებული პოლიტ. რეჟიმის შეცვლას ცდილობდა, წერდა: „ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას“. იგი ურჩევდა ოპოზიციას, რომ „საქართველოს საშინაო პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება ევოლუციისა და არა რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი“. კ. მოხსენებით ბარათში თავის მთავრობას სთავაზობდა: „ხალხმა რომ დაინახოს, გერმანია მხოლოდ ერთი – თვითმმართველი პარტიის მხარეზე არა დგას და სურს დაეხმაროს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს, სასურველი იქნება ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა მსგავსად, გერმანული

ორდენებით ოპოზიციის ლიდერებიც დავაჯილდოვოთ“. კ-ს უარყოფითი აზრი ჰქონდა სახალხო გვარდიასთან დაკავშირებით. იგი მიაჩნდა რევოლუციური ჯარის ყველაზე უარეს ფორმად. აფხაზებთან საქართვ. ხელისუფლების ურთიერთობაზე კ. წერდა: „აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა მიმართა თურქეთს დახმარებისათვის“.

საგულისხმოა ისიც, რომ კ-ის ცნობით, გერმანიამ თავისი ჯარების საქართველოდან გაყვანის წინ მძიმე შეიარაღება და ცხენები ქართველებს გადასცა. 1929 თადარიგში გავიდა. დაწერა მემუარები „ჩემი მისია კავკასიაში“.

თხზ.: ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნ. მუშკუდიანმა, ქუთ., 2002.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–21), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი , ტ. 1, თბ., 1997; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018.

ლ. მანიავა